№ 21 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი ნელიწადი მეორე

ფასი 2 მან. ხუთშაბათი, 29 იანვარი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

ხუთშაბათს იანვრის 29-ს

აბესალომ და ეთერი

პარასკევს იანვრის 30, მ. ს. დავიდოვას მონაწილეობით „ჩერევიჩკი“, შაბათს, ოპერა მეშეფისათვის „მეფის საცოლო“. კვირას, თებერვლის 1, ევლახიშვილის ბენეფისი დავიდოვას მონაწილეობით „კარმენი“.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის ავტო-ტექნიკურ განყოფილების მიერ

1920 წ. 1 თებერვალს დღის 11 საათზე

დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

შემდეგი ავტომობილების გასაყიდად: 1) ლაურინ-კლემენტ 8 ძალ., შეფასებულია—10.000 მან., 2) ოპელ 6 ძალ., შეფასებულია—20 000 მ., 3) სტევერ 6 ძალ., შეფასებულია 30 000 მან.,4). ბენზ 8 ძალ., შეფასებულია 12.000 მან., 5) ბენზ 20 ძალ., შეფასებულია 50.000 მ., 6) ნ. ა. გ. 18 ძ., შეფასებულია 20 000 მ., 7) ნ. ა. გ. 6 ძ., შეფასებულია 12.000 მ., 8) ფორდ 22 ძალ., შეფასებულია 5.000 მან., 9) რუსული ბალტიური 16 ძ., შეფასებულია 20 ათას მან. და 10) პეჟო 16 ძალ., შეფასებულია 30.000 მან. მისამართი: ელისაბედის ქუჩა, № 119.

8 6—5

ელექტრო-საფეხურის კანტორა „ვატ“

ელექტრონის ძალის შეწყვეტის გამო კიდევ სთხოვს ყოფილ აბონენტებს, ექვი კვირის ვადაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა, მიიღონ უკან ავნები. ავადსაბის მიღება შეიძლება კანტორა „ენერგიიდან“, „სევერნი“, ხოლრების ქვეშ, მუზეუმის შესახვევში. ექვი კვირის შემდეგ წაღებული ავადსაბი შეტანილი იქმნება ტფილისის ქალაქის გამგეობაში და კანტ. „ვატ“ ყოფილ აბონენტებთან ყველა ანგარიშებს სპობს.

3—1

საქ. სატრანსპორტო საზოგადოება

ამით აცხადებს რომ ამა წლის 1 თებერვლიდან იგი მიიღებს ყოველგვარ ტვირთს ქალაქ ტფილისში და ქალაქ გარე გადასაზიდ გადმოსაზიდავად. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების კანცელარიაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (სერგიევის ქ. № 8).

2—1

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.

16 იანვარი, 1920 წ., № 16.

დაევალოს: სამინისტროს უფროს მუჰგალტერის თანამდებობის აღსრულება კანცელარიის მუჰგალტერს ა. გ. ზირაქიშვილს ა. წ. იანვრის 1-დან.

დეპარტამენტის დირექტორი **გ. ყორდანია.**

გრძანება

იუსტიციის მინისტრისა.

17 იანვარი, 1920 წ., № 18.

რესპუბლიკის მთავრობის ა. წ. იანვრის 3 ს დადგენილების ძალით **დაინიშნა:** ტფილისის სასამართლოს წევრად ნაფიცი ვექილი გაბრიელ ივანეს ძე თულაშვილი ა. წ. იანვრის 3 დან.

17 იანვარი, 1920 წ., № 22.

დათხოვნილია სრულიად სამსახურიდან: გუდაუთის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი პისარევი ა. წ. იანვრის 1-დან.

17 იანვარი, 1920 წლ., № 25.

ჩაირიცხა სასამართლო უწყებაში და ინიშნება: ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგის თანამდებობის აღმასრულებლად ნაფიცი ვექილი თადეოზ გრიგორის ძე ვაჩნაძე ა. წ. იანვრის 17-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

13 იანვარი, 1920 წ., № 4.

დაინიშნოს საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის ბოანგარიშეთ თამარ ვასილის ასული აბულაძისა ამა წლის 1 იანვრიდან.

13 იანვარი, 1920 წ., № 6.

გადაყვანილ იქნეს ქუთაისის მაზრის აქციზის ინსპექტორად შორაპნის მაზრის აქციზის ინსპექტორი ეპიფანე ანტონის ძე კანდელაკი ხოლო შორაპნის მაზრის აქციზის ინ.პექტორად. **დაინიშნოს** ქუთაისის მაზრის აქციზის ინსპექტორის თანაშემწე კონსტანტინე მინას ძე ჩიკვაიძე ორივენი ამა წლის 11 იანვრიდან.

13 იანვარი, 1920 წლ., № 7.

დათხოვნილ იქნას სრულიად სამსახურიდან სამსახურში გამოუცხადებლობის გამო ნავთის ნაწარმოებათა მოანგარიშე კონსტანტინე ფილიპეს ძე ძიძიგური 1919 წლის 1 დეკემბრიდან.

13 იანვარი, 1920 წ., № 8.

დაინიშნოს საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის უფროსის თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად დავით ვასილის ძე ქუთათელაძე ამა წლის 9 იანვრიდან.

13 იანვარი, 1920 წ., № 9.

დათხოვნ-ლ იქნეს გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველოს მუხჰალტერის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ივანე ივანეს ძე აბრამოვი თანახმად თავის თხოვნისა, ამა წლის 10 იანვრიდან.

20 იანვარი, 1919 წ., № 10.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს 16 დეკემბრის 1919 წლის № 292 ბრძანების შესასწორებლად:

განთავისუფლებულია თანამდებობისაგან და სრულიად სამსახურისაგან საერთო განყოფილების უფროსი ივანე ტიმოთეს ძე პოლუმორდვინოვი ტფილისის მეათე უბნის გამომძიებლად დანიშვნის გამო და თანახმად საკუთარი თხოვნისა 1919 წლის 9 დეკემბრიდან.

იანვარი, 1920 წ., № 11.

დანიშნულ იქნას ტფილისის აქციზის ინსპექტორის უმფროსი თანაშემწეთ პეტრე ვლადიმერის ძე კურცნალია ამა წლის 17 იანვრიდან.

ფინანსთა მინისტრის ამხ. **ავალიანი.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

15 იანვრის სხდომა.

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია; მინისტრები—ბ-ნნი რამიშვილი, გეგეჭკორი ი. ხომერიკი, კანდელაკი, არსენიძე, ლორთქიფანიძე, ერაძე, მინისტრთა ამხანაგები—ბ ნნი ავალიანი, ცინცაძე, ბახტაძე, ჭ ჭინაძე, ქარცივაძე, გედევანიშვილი; სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი—ბ-ნი ანდრონიკაშვილი, იუსტიციის დეპარტამენტის თანამდ. აღმ.—გ. ჟორდანია; გზათა დეპარტამენტის დირექტორი—ბ ნი ჭ ჭინაძე, საქმეთა მმართველი—კ. ჯაფარიძე, მდივანი დ. დიდებულიძე.

სამაზრო მილიციის შტატები.

მაზრების, რაიონების და სოფლის საზოგადოებათა ადმინისტრაცია და მილიციის შტატები მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას. მილიციის შესანახ ხარჯების გაღება ხდებოდეს ძველი წესით, თანახმათ არსებული კანონისა.

სასანიტარო გადასახადი.

დაკმაყოფილებულ იქმნას ქ. გორის თვითმმართველობის შუამდგომლობა და მას უფლება მიენიჭოს სასანიტარო გადასახადის მყიდველებზე გადატანისთვის წ. წ. 17 ოქტომბრის დეკრეტის მე 2 მუხლში აღნიშნულ სახელის ადმინისტრატიულ წესით დადებისა.

ქ. ყვირილის სახელის შეცვლა.

ზესტაფონის ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქმნას და ამიერიდან ქალაქს ეწოდებოდეს მხოლოდ „ზესტაფონი“

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ საგალდებულო განცხადების ფასი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“-ში საგალდებულო განცხადებებზე არსებულ ბეჭდვის ფასის შესახებ მომქმედი კანონი შეცვლილ იქმნას იმ ნაირათ, რომ ტაქსაცია მინდობილი ჰქონდეს მთავრობას შესაფერი დეკ

უ ტ ა ტ ი.

საგანგებო საქმეთა გამომძიებლის და მათი კანცელარიების.

№		თანამდებობათა სახელწოდება და საგანი ხარჯისა.	ეძლევათ თვის თვეში დამატებითური.	40 % დამატება.	უნდა მიეცეთ			
					რიცხვი.	თვეში.		წელიწადში.	
						ერთს.	ყველას.	ერთს.	ყველას.
11		**საგანგებო საქმეთა გამომძიებელნი.**							
	1	**პირადი შედგენილობა.**							
		გამომძიებელი (ტფილისში 2, ქუთაისში 2 და სოხუმში 1)	1817 50	—	5	4600	23000	55200	276000
		საქმის მწარმოებელი (იგივე თარჯიმანი).	1100	2	5	2200	11000	26400	132000
		გზირი ტფილისში	875	350	2	1225	2450	14700	29400
		„ ქუთაისში, 2, სოხუმში 1	775	310	3	1085	3255	13020	39060
		ჯამი 1 მუხლისა	—	—	—	9110	39705	109320	476460
	2	საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი	—	—	5	500	2500	6000	30000
		ჯამი მე-2-ე მუხლისა	—	—	—	500	2500	6000	30000
	3	საგზაო და დღიური ხარჯი	—	—	5	3000	15000	36000	180000
		ჯამი მე-3-ე მუხლისა	—	—	—	3000	15000	36000	180000
		ჯამი მე-11 ე § ის	—	—	—	12610	57205	151320	686460

1919 წ. დეკემბრის 9-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

ნ. ჟორდანია.

რეტის წარდგენა დამფუძნებელ კრებაში დატვალოს შინაგან საქმეთა მინისტრს. სავალდებულო დადგენილების გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“-ში ბეჭდვის ფასათ დაწესებულ იქმნას 40 მანეთი.

საქონლის გასაზიდათ ძველი ნებართვების შესახებ.

მიეცეს უფლება მომარაგების მინისტრს განსაზღვროს ვადა, რომლის განმავლობაშიც ყოფილ საქონლის გამცვლელ კომიტეტისა და მომარაგების მთავარ სამმართველოს მიერ გაცემული ნებართვები წარდგენილ უნდა იქმნან მომარაგების სამინისტროში. ის ნებართვები, რომლებიც მინისტრის მიერ დანიშნულ ვადაზე წარდგენილ არ იქმნებიან სამინისტროში ჩაითვალონ გაბათილებულათ.

დანიშვნა.

სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობის წევრათ (ვ. ი. ორდიშვილის ნაცვლათ) დაინიშნოს ინჟენერი ბურჯანაძე

საბრალმდებლო ნაწილების გაერთიანება.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს და საგანგებო სასამართლოს საბრალმდებლო ნაწილები გაერთიანებულ იქმნას.

განათლების სამინისტროში

საბავშვო ჟურნალების გამოწერის საკითხი გახდენა.

განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა რესპუბლიკის ქალაქის და მაზრის თვითმართველობებს თავიანთ სასწავლებლებისათვის საკალდებულოდ გახადონ საბავშვო ჟურნალების „ნაკადულის“ და „ჯეჯილის“ გამოწერა.

საქართველოს მუზეუმი.

განათლების მინისტრის ამხანაგმა განკარგულება გასცა, რათა 1911 წელში დაარსებული კავკასიის მუზეუმის შენობის სალმშენებლო კომისია და მისი ინსტრუქციები გაუქმდეს.

განათლების მინისტრის ამხანაგის ბრძანებითვე არსდება საქართველოს მუზეუმის შენობის დამამთავრებელი კომისია, სადაც შედიან: გ. დ. ჟურული თავმჯდომარეთ, წევრებათ:

ექვითიმე თაყაიშვილი, ჩუბინაშვილი, ნიკ. ყიფიანი, ინჟ. ნეპრინცევი, ხატვარი კალგინი და სახელმწიფო კონტროლიორის წარმოდგენილი.

ამავე კომისიას დაევალა შეიმუშავოს თავისავის შეხედული ინსტრუქციები და ჩაიბარონს გაუქმებულ კომისიისაგან ყოველგვარი საბუთები და საქმეები.

დახმარება ბათუმის გიმნაზიას.

განათლების სამინისტრო შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა ბათუმის გიმნაზიას, მიეცეს მიმდინარე წლის ხარჯებისათვის 294,200 მან.

უცხოეთში გამგზავრებული სტუდენტები.

პარიზში მყოფ საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარემ ნ. ს. ჩხეიძემ საგარეო საქმეთა სამინისტროს აუწყა, რომ ევროპაში თავისი ხარჯით გამგზავრებული სტუდენტები ნივთიერ გაჭირვებას განიცდიან.

განათლების სამინისტრომ ამის გამო სთხოვა საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობოს, თუ რომელ ახალგაზრდათაგანმა ვერ მოახერხა უცხოეთში გამგზავრება.

დამფუძნებელი კრება

27 მაისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ეკვთ. თაყაიშვილი.

თავმჯდომარე: სანამ წესრიგის განხილვას შეუდგებოდეთ, უნდა მოგახსენოთ ერთი სამწუხარო ამბავი: ჩვენ მივიღეთ დეპეშა, რომ გურიაში, სოფ. ლიხაურში გარდაცვლილა ჩვენი ამხანაგი დამფ. კრების წევრი ს. ჯორგულაძე. ვინც კარგათ იცნობდა განსვენებულს, მას იცოდინება თუ რა სიკეთეთ აღსავსე ამხანაგი დავკარგეთ ჩვენ. მისი სიკვდილი ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო. პრეზიდიუმმა უკვე გაუგზავნა პირისუფლებს სამძიმრის დეპეშა, გთხოვთ პატივისცეთ მის ხსოვნას ფეხზე ადგომით. (დეპუტატები ფეხზე დგებიან). რეგლამენტის ძალით მის ალაგს დაიჭერს სოც. დემ. სიიდან ოლია სოლოლაშვილი.

გრ. ნათაძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი კანონ პროექტისა გასული სახარჯთ აღრიცხვო წლის დაუფარავი ხარჯების განაღდების შესახებ.

პროექტი დადგენილებისა პოლიტიკურ, საერთო სისხლის სამართლისა და სამხედრო დანაშაულობის ჩამდენთა მდგომარეობის შემაუბუქების შესახებ.

მომხსენებელი **გრ. გიორგაძე** აღნიშნავს, რომ თანახმად დამფუძნებელი კრების დადგენილებისა იურიდიულმა კომისიამ განიხილა პროექტი დადგენილებისა პოლიტიკურ, საერთო სისხლის სამართლისა და სამხედრო დანაშაულობის ჩამდენთა მდგომარეობის შემსუბუქების შესახებ. იურიდიული კომისია შეეხო პროექტს ორი მხრით: ერთი თუ რამდენათ მისაღებია ის იურიდიულათ, მეორე

რამდენათ ის შეესაბამება დღევანდელ ჩვენს საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობას. ამ პროექტის ძალით სრულიად თავისუფლდებიან ისეთი დანაშაულის ჩამდენნი, რომლისთვისაც დანიშნულია მცირე სასჯელი. რაც შეეხება მძიმე დანაშაულს, მათ სანახევროთ უკლდებათ სასჯელის ვადა, მაგ. ვისაც პატიმრათა გამოწორებელი რაზმი ან კატორღა აქვს მისჯილი, უვადო კატორღა შეიცვლება 12 წლის კატორღად, სიკვდილით დასჯა 15 წლის კატორღათ. თავისუფლდება პასუხისგებისა და სასჯელისაგან ის, ვისაც მონაწილეობა მიუღია რესპუბლიკის წინააღმდეგ აჯანყებაში და დღემდე არ ყოფილა გასამართლებული, თუ მას არ ბრალდება აჯანყების მეთაურობა, ესე იგი, თუ ის არ არის წამქეზებელი, თუ მას არ ბრალდება სხვა რამე ძმიმე საერთო ხასიათის ბოროტ-მოქმედება. დეზერტირთაგან პასუხისგებისა და სასჯელისაგან თავისუფალნი არიან ისინი, ვინც მარტის 1 დე გამოცხადდებიან სამსახურში.

დანაშაული არ ეპატიებათ და არც არავითარი შეღავათი მიეცემა იმათ, ვინც დასჯილია, ან დაისჯება 1918 წ. სექტემბრის 17 სპეკულიაციასთან ბრძოლის კანონის ძალით, აგრეთვე დამნაშავენი, ვის წინააღმდეგ საჩივარი აღძრულია კერძო წესით, პიროვნების შელახვისა და შეურაცხყოფისა გამო. მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის პასუხისგების და სასჯელისაგან განთავისუფლება არ აუქმებს დამნაშავის სამოქალაქო პასუხისმგებლობას დაზარალებული პირის, დაწესებულებათა და სახელმწიფოს წინაშე.

ლ. შენგელია (ს.-რ.) აღნიშნავს, რომ ამნისტია უნდა ყოფილიყო სრული. ეს ამნისტია ჩვენ უნდა გამოგვეცხადებინა დამფუძნებელ კრების გახსნის პირველ დღეს. წარმოდგენილი პროექტი არ ეხება დატუსაღებულთა ისეთ კატეგორიებს, რომელთა დატოვება ყოვლად შეუძლებელია. დამფუძნებელმა კრებამ უნდა მოითხოვოს სრული პოლიტიკური ამნისტია. პროექტში ნათქვამია, რომ ვისაც სიკვდილით დასჯა აქვს მისჯილი, მას ეს 15 წ. კატორღათ უნდა შეეცვალოს. ეს ვერაფერი სანუგეშოა. სიკვდილით დასჯა, როგორც ანტი-სახელმწიფოებრივი მოვლენა, სრულებით უნდა მოისპოს. ამ ინსტიტუტის უარყოფითი შედეგი იგრძნო სახალხო კომისართა საბჭომ და ის მოსპო. ასეთ ამნისტიებს ლიბერალებიც კი იძლეოდენ. ჩვენი ფრაქცია მომხრეა ამ პროექტისა, მაგრამ ის მოითხოვს, რომ ამნისტია გავრცელებულ იქნეს ყველა ადმინისტრატიულად გადასახლებულებზე და პოლიტიკურ დამნაშავეებზე.

რაჟ არსენაძე (იუსტიციის მინისტრი). მე მოხარული ვარ იმისი, რომ პირველი სიტყვა, რომელიც მე უნდა ვსთქვა, როგორც იუსტიციის მინისტრმა, არის სიტყვა ამნისტიის შესახებ. ჩემი, როგორც მინისტრის, მოღვაწეობის პირველი ნაბიჯი იწყება შეწყნარების სახით.

მართალია, დემოკრატიას უნდა ჰქონდეს ისეთი წყობილება, რომ შეწყნარება იქ საჭირო არ უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ პირობებში, რომ ეს საჭირო ხდება. ჩვენ ვცხოვრობთ რევოლუციის ტრადიციით, რევოლუციის ხანაში, რევოლუციის ტალღები კი, როგორც იცით ქვნდა ათასგვარ დანაშაულობას. შეიძლება ეს დანაშაული არ გამოდინარეობდეს მათი ბოროტი ზრახვებიდან და ამნისტია საჭირო ხდება. მაგრამ ამნისტიის დროს ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ ორი რამ: ხალხის ინტერესი, რესპუბლიკის ინტერესები. აი ეს ორი ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს.

შეიძლება ამ ამნისტიის დროს იმათ შორის, ვინც არა ბოროტი განზრახვებით ჩაიდინეს დანაშაული მოყვენ ბოროტებაც, მაგრამ მათ გულში ჩახედვა გულთა მხილველს თუ შეუძლია, ჩვენ კი ვხელმძღვანელობთ ერთი ზოგადი პრინციპით: სჯობია ერთი უდანაშაულოს დასჯას ცხრა დამნაშავის განთავისუფლება. რაც შეეხება პოლიტიკურ დამნაშავეებს, უნდა იცოდეთ, რომ მათ არ შეეფერება ამნისტია, პოლიტიკური დამნაშავე არის პოლიტიკური მებრძოლი, ის თავისუფლდება მხოლოდ მაშინ, როცა საგანი მისი ბრძოლისა აღარ იქნება. ჩვენში ჯერეს ბრძოლა არ დამთავრებულა. ჯერ ჩვენ არ მიგვიღია ცნობა საბჭოთა რუსეთისგან ჩვენი დამოუკიდებლობისა, ჯერ ჩვენ არა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ საბჭოთა რუსეთის ხელი აიღოს ჩვენს დანგრევაზე, დაპყრობაზე.

და როდესაც ჩვენ მივიღებთ საბჭოთა მთავრობისაგან ცნობას ჩვენი დამოუკიდებლობისა, როდესაც ისინი ხელს აიღებენ ჩვენს დანგრევაზე, დაპყრობაზე, მე მთავრობის სახელით ვაცხადებ, რომ დაუყონებლივ განთავისუფლებულ იქნებიან. ამ ჟამად კი სათანადო მუხლის ძალით თავისუფლება ენიჭებათ იმ გლეხებს, რომლებსაც წაქეზებით, მოტყუებით ბრძოლაში ჩაითრიეს. ამ გვარათ დაისჯა სომხეთთან ომის დროს აჯანყების მომწყობთა განთავისუფლების საკითხიც. თქვენ იცით რომ როცა სომხეთთან ომს ვაწარმოებდით, მაშინ ჩვენი ჯარის ზურგში აჯანყება მოაწყვეს და ბევრი ხალხი იმსხვერპლეს. მათ ჩაიდინეს სახელმწიფო ღალატი. აქ ჩვენი ქვეშევრდომი მიუდგა ჩვენს მებრძოლ სახელმწიფოს და აქაც შეიძლება იმავე საზომით ვიხელმძღვანელოთ, რითაც პოლიტიკურ დამნაშავეების შესახებ ვხელმძღვანელობდით. ომი გამოწვეული იყო საზღვრების შესახებ

საქართველოს კონსტიტუციისთვის.

1917 წ. 19 ნოემბერს ინტერპარტიული საბჭოს თაოსნობით და ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელმაც გააერთიანა მთელი ერი. ეს იყო უდიდესი და უშესანიშნავესი მოვლენა საქართველოს ჯაანასკნელ 117 წლის განმავლობაში. მაშინ აღსდგა ქართველი ერი როგორც კულტურულ პოლიტიკური ერთეული და იურიდიული პიროვნება. მართალია ამ ყრილობას არ ჰქონია აზრად დამოუკიდებლობის გამოცხადება, მაგრამ ის უკანასკნელის წინამორბედი იყო, მან დარაზმა ძალები და მომამზადა ნიადაგი ოც და ექვსი მაისისათვის, რომელიც მის მიერ არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა. საქართველოს სახელმწიფო ჯერ არ გამოცხადებულიყო, მაგრამ მისი ბუცილებლობა, მისი გარდაუვალი საჭიროება უკვე ნაგრძნობი და ნაგულისხმევი იყო, სრული თავისუფლების და დამოუკიდებლობის აზრი ჰაერში ტრიალებდა. ყრილობის თავმჯდომარემ, ნ. ნ. ჟორდანიამ მისასალმებელ სიტყვაში ასე გამოხატა ეროვნული ყრილობის მოწვევის საჭიროება: „ჩვენ ვშიშობთ აბობოქრებულ ცხოვრების ზღვის ტალღებმა ჩვენც არ ჩაგვიტანოს რღვევის მორევში. ჩვენ პატარა ერი ვართ და ვცხოვრობთ ისეთ ქვეყნაში, რომლის ახლოს გაჭიმულია დიდი საომარი ფრონტი. ამიტომ გვმართებს დიდი სიფხიზლე. გარდა ამისა, რუსეთში გაჩაღდა სამოქალაქო ომი. დღეს არ არსებობს ცენტრალური მთავრობა და რუსეთთან ჩვენი პატარა ქვეყნის კავშირი თითქმის საკვლებით გაწყდა. ამ ნაირათ ერთის მხრით ჩვენს ახლოს დიდი საომარი ფრონტის არსებობა, ხოლო მეორეს მხრივ რუსეთთან კავშირის გაწყვეტა გვავალებს ჩვენს თავს მივხედოთ, ჩვენს თავს ვუპატრონოთ. ამ ნიადაგზე შეერთდა ჩვენში არსებული პოლიტიკური პარტიები“.

რადგანაც პირველ ეროვნულ ყრილობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების და სახელმწიფოებრივი აღორძინების ისტორიაში, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოვიყვანოთ, შემოკლებით ერთი მისი უმთავრესი პოლიტიკური დადგენილება, რომელიც ეხება საქართველოს პოლიტიკურ თვითმართველობას.

თვალსაჩინებს რა საერთო მდგომარეობას რუსეთში და ჩვენში, ეროვნული ყრილობა აცხადებს:

„ყრილობა საჭიროდ სცნობს შესდგეს, როგორც დროებითი დაწესებულება, საქართველოს ეროვნული საბჭო, ნაციონალურ კითხვათა და საჭიროებათა გასარკვევათ, გასაძღოლად და ცხოვრებაში გასატარებლად. საბჭოს შესადგენად ყრილობა ირჩევს 60 წევრს. საბჭოს წევრები ადგილს უთმობენ ამიერ-კავკასიის სეიმის ქართველ დეპუტატებს, როდესაც არჩევნების დასრულებით ამიერკავკასიის საარჩევნო ოლქში მათი ვინაობა გამოირკვევა. რიცხვი დეპუტატებისა გამორკვეულ იქნება საარჩევნო პროპორციის მიხედვით. პარტიათა შეთანხმებით საბჭოს წევრებათ შეიძლება მიღებულ იქნან აგრეთვე ისეთი პირები, რომელნიც დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიებში შეტანილი არ ყოფილან. (მუხლი 4) ყრილობა საჭიროდ სთვლის განხორციელებულ იქმნას საქართველოში ისეთი ნორმები, რომელნიც მას საშუალებას მისცემენ თავისუფლად განვითარებისათვის და ავალებს დამფუძნებელ კრების ქართველ დეპუტატებს მოითხოვონ რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე ამ ნორმების მიღება და დადასტურება. ასეთ ნორმებად მიაჩნია ყრილობას საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ საკითხებზე. ტერიტორიის საზღვრები გაიმიჯნება დაინტერესებულ მოსაზღვრე ერებთან შეთანხმებით. საქართველოში მოქცეული ნაციონალური უმცირესობანი მიიღებენ სრულ უფლებრივ გარანტიას კულტურული განვითარებისას. ყრილობა საჭიროდ აღიარებს ამ მთავარ კითხვაში მოხდეს შეთანხმება ამიერ-კავკასიის ერთა შორის. სამაჰადიანო საქართველოს შიენიჭება ფართო თვითმართველობა, ასეთივე ფართო თვითმართველობა მიენიჭება ყველა იმ განაპირა ადგილებს, რომელთა მცხოვრებნი მოისურვებენ საქართველოს თვითმმართველ ერთეულში შემოსვლას (მუხლი 6). თუ რუსეთის სამოქალაქო ომი გაგრძელდა და დამფუძნებელი კრების მოწვევა ახლო მომავლისათვის ვერ მოხერხდა, უნდა იქმნას მოწვეული ადგილობრივი დამფუძნებელი კრება, როგორც ამიერ-კავკასიის ისე ცალ-ცალკე ერების, რომელნიც ურთიერთის თანხმობით დაამყარებენ შესაფერ დემოკრატიულ და ნაციონალურ წყობილებას, როგორც თვითეულ ეროვნულ-ტერიტორიალურ ერთეულებში, ისე მთელ ამიერ კავკასიაში (მუხ. 7). საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევისათვის ზრუნვა ევალება საქართველოს ეროვნულ საბჭოს (მუხლი 8)“.

ასეთი იყო ის უფლებრივ-პოლიტიკური ნორმები, რომლებიც ქართველმა ხალხმა თავისთვის შეიმუშავა იმ გარდამავალ ხანაში, როცა ბალშევიკების გაბატონებისას რუსეთი, როგორც სახელმწიფო დაიშალა, ახალი კი არც ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის და არც საქართველოს რესპუბლიკის სახით ჯერ არსად სჩანდა. ამ დროს უფლებრივ სახელმწიფოებრივად ყველგან საშინელი ქაოსი და გაუგებრობა მეფობდა. ხოლო მუხედავად ამისა დემოკრატიის საზოგადოებრივ ძალთა ორგანიზაციის წყალობით ფაქტიურად რევოლიუციური წესიერება დაცული იყო. ამიერ კავკასიის ხალხთ მაჯლაჯუნასავით თავს დაწოლოდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავი. ყარსი და ბათუმი დაეკარგა. ოსმალეთი ოზურგეთისკენ მოემართებოდა. ქართველი ერი შემოსეულ მტერს ებრძოდა თავგამეტებით.

ამიერ-კავკასიის სეიმში ყველაზე გავლენიანმა ფრაქციამ სოც.-დემოკრატიამ (ფაქტიურათ ეს იყო საქართველოს სოც.-დემოკრატია) შესძლო მეტათ გართულებულ პოლიტიკურ მდგომარეობის სწორად ამოკითხვა და დეპუტატ დ. ონიაშვილის პირით განაცხადა, რა რომ დღეს უკვე რუსეთის ორიენტაცია არსებითად რეაქციონური ორიენტაციაა, წინადადება მისცა სეიმს აღიარებინა ამიერ-კავკასიის დემოკრატიული ფედერატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გამოცხადდა. მაგრამ ამ ეფემერულმა სახელმწიფომ ერთ თვეს ძლივ იცოცხლა, რადგან იგი თავისში ატარებდა დაშლის და თვითდარღვევის ელემენტებს (1918 წ. 22 აპრილი, 1918 წ. 26 მაისი).

გათენდა ამიერიდან ისტორიული 1918 წ. 26 მაისი, როცა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა სასახლის თეატრ დარბაზში. საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ ამ გვარათ გამოთქვა ისტორიული მომენტის მნიშვნელობა: „მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულის იშვიათის და ამავე დროს ტრაგიკულ აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს“. ამიერ კავკასია როგორც სახელმწიფო მოკვდა, ხელმეორედ იშვა საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, დემოკრატიული რესპუბლიკა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, ამ ისტორიულ კრებაზე გამოცხადებული, უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელიც უფლებრივ და კონსტიტუციურ გამოხატულებას აძლევს საქართველოს სახელმწიფოებრივობის შობას და დასაწყისს. ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოებრივ უფლებრივი არსებობა ემყარება ამ დამოუკიდებლობის აქტს.

დგეთ, მართალია ომის ლიკვიდაცია მოხდა, მაგრამ არ მომხდარა იმ დავის ლიკვიდაცია, დავა საზღვრების შესახებ თუმცა ეს დავა ამ ჟამად დიპლომატიურ სფეროში სწარმოებს. ამიტომ სანამ არ გადაიჭრება საბოლოოდ ეს დავა, სანამ არ მოწესრიგდება ჩვენ და სომხეთ შორის საზღვრების საკითხი, მანამ ბორჩალოში გლეხების აჯანყების მომწყობნი არ იქნებიან განთავისუფლებულნი. მე კი იმედი მაქვს, რომ ეს საკითხი მალე დამთავრდება, მაშინ მე მთავრობის სახელით აქ საშუალება მექნება განვაცხადო, რომ ისინი განთავისუფლებულნი არიან.

ამნისტია არ ვრცელდება ორ კატეგორიის დანაშაულზე: სპეკულაციის კანონით დასჯილებზე და ადმინისტრაციის წევრებზე. ერთიც და მეორენიც უნდა იქნენ დატოვებულნი ამ ამნისტიის გარეშე და არავითარი შეღავათი არ უნდა მიეცეს. სპეკულაცია ისეთი მოვლენაა, რომელთანაც ბრძოლა აუცილებელია. პროექტში კი განსაკუთრებული მუხლის შეტანა სპეკულაციისათვის დასჯილ-დაპატიმრებულია შესახებ ნიშნავს ერთგვარ სულიერ განწყობილებას, როგორც მთავრობის, ისე დამფუძნებელ კრებისა, რომ სასტიკი ზომები იქნება მიღებული მომავალშიაც სპეკულაციის წინააღმდეგ. ესევე შეიძლება ითქვას ადმინისტრაციის დამნაშავე წევრებზედაც. არც მათ გაპატიებათ არავითარი დანაშაული და ამიტომ უნდა მოიქცენ კანონიერად. დასასრულ მინისტრი ამბობს, რომ ჩვენ ამნისტიის დროსაც მთლიანად უნდა დავიცვათ ორი პრინციპი: ხალხის ინტერესები და რესპუბლიკის ინტერესები. რაც ამ ორ მუხლს ეწინააღმდეგება, იმის მიღება ჩვენ არ შეგვიძლია. (ტაში)

(დასასრული ხვალ)

ისევ ზანგეზურის კონფლიქტი.

ადერბეიჯანის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა შემდეგი. შინაარსის ნოტა გაუგზავნა 22 იანვარს სომხეთის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრს:

„მე მაცნობა ჩემმა მთავრობამ, რომ სომხეთის ჯარს შეიარაღებულ ბრბოებთან ერთად საბჭოთა მოქმედება დაუწყია ზანგეზურიდან შუშის მაზრის მიმართულებით, რის გამო ნადგურდება მუსულმანთა სოფლები. ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ ასეთ მოქმედების წინააღმდეგ და შემდეგს გიცხადებთ ოქვენ: ადერბეიჯანისა და სომხეთის მთავრობათა შორის შეთანხმების ხელის მოწერის შემდეგ 1919 წ. 23 ნოემბრიდან სომხეთის ჯარმა გაანადგურა ზანგეზურის რაიონში ორმოცამდე მუსულმანთა სოფელი.

ეს არის თუ გნებავთ ჩვენი კანონთა კანონი ჩვენი კონსტიტუციათა კონსტიტუცია. ამიტომ ეს დიდებული აქტი, რომელიც შემდეგ საქართველოს დამფუძნებელ კრებამ მიიღო და დაადასტურა 1919 წლის მარტის 12, ერთიანად უნდა შევიდეს საქართველოს კონსტიტუციაში, როგორც შესავალი კარი, რაც სახელმწიფოს დაფუძნების აქტს დაუკავშირებს ჩაკონსტიტუციო კანონმდებლობას და მთლიან ხასიათს მისცემს მთელ კონსტიტუციას.

ეი ეს დამოუკიდებლობის აქტი, როგორც იგი მიიღო, დაადასტურა და გამოაქვეყნა ყველა თავის წევრთა ხელმოწერით საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ:

„საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12 ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26 ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. ტფილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შეავიწროებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდის რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დაუტოვა ამიერკავკასია.

ელლა, როდესაც ჩვენ ჩავედით ტფილისში, რათა მიგვეღო ზომები ერთი მეორის უაზრო განადგურების წინააღმდეგ და მოგვემზადებინა ნიადაგი ამ ორი ერის მეზობლობა დასაახლოებლათ, მივიღეთ ცნობა, რომ სომხეთის ჯარი ასრულებს რა გარკვეულ გეგმას თავის მთავრობისას, ისევ ანადგურებს მუსულმანთა სოფლებს და მის მცხოვრებთ. რადგან სომხის მთავრობა არ ასრულებს თავის თავზე მიღებულ ვალდებულებს და ამით ფასს უკარგავს უკვე მიხწეულ შეთანხმებას, ჩემს მთავრობას აღარ სწამს, რომ შესაძლებელი იყოს შექმნილ მდგომარეობის სამშვიდობო მოლაპარაკებით მოგვარება. კიდევ მიუთითებთ რა სომხის მთავრობას, რომ დაუშვებელია ასეთი მოქმედება, და კატეგორიულათ მოვითხოვ რა სომხეთის ჯარის აგრესიულ მოქმედების დაუყოვნებლივ შეჩერებას, მოვალეთ ვრაცხ თავს გაცნობოთ თქვენ, რომ თუ თქვენმა ჯარმა არ შეაჩერა სამხედრო მოქმედება, მშვიდობიან მცხოვრებთა წინააღმდეგ, ჩემი მთავრობა სასტიკ ზომებს მიმართავს თავის მოქალაქეთა დასაცავათ, შედეგის პასუხის მგებელი კი იქნება სომხის მთავრობა.

გარეშე საქმეთა მინისტრი ხანი-ხოელი.

დეპეშები.

(საქართვ. დეპეშათა ბიუროს ტელეგრამა).

ფრანგული პრესა.

იტალიელ რკინის გზელთა გაფიცვა იმავე მდგომარეობაში იმყოფება.

ინდოეთში სისხლის მღვრელი ბრძოლა მოხდა ინგლისის ჯარსა და ვაზირის ინსურგენტთა შორის. ეს ხალხი ჩრდილო-დასავლეთის საზღვარზე ცხოვრობს.

საფრანგეთის ჯარების მიერ ხდება შლეზვიგის ოკუპაცია. მცხოვრებნი ფრანგებს ალფრთოვანებით ეგებებიან.

პოლონელები და ლატიშები ბოლშევიკებს მედგრად ებრძვიან. პოლონელთა გამარჯვება გრძელდება.

მოსკოვი, 27 იანვ. კარლ რადეკმა „იზვესტიას“ წარმომადგენელს საუბრის დროს მრავალი საგულისხმო ცნობა მიაწოდა დასავლეთ ევროპის და კერძოთ გერმანიის მდგომარეობის შესახებ. რადეკმა დახატა სურათი ეკონომიური განადგურების და დასავლეთში კაპიტალიზმის სრული დანგრევისა. გერმანია სულს ღაფავს ნელის სიკვდილით.

ამერიკული ცნობები.

პოლ კამბონი ლონდონში რჩება. ოფიციალურად უარს ყოფენ, ხმებს—თითქოს პოლ კამბონს უკან იწვევდენ. სახელოვანი დიპლომატი დარჩება იმ ადგილზე, რომელზედაც

დარჩნენ რა თავის ძალლონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ კავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერ კავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბერს არჩეული, საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

იგი 20 წლის განმავლობაში სასახელოდ შეშაობდა.

ცენტრალურ ევროპის მცხოვრებთ ემუქრებიან: ინფლუენცია, ჭირი, ტიფი და ამასთანავე ბოლშევიკების შემოსევა. ამ შემოსევის შიშმა ბირჟზე მეტად დასცა ყველა ღირებულება. ყოფილ ავსტრიის იმპერიაში ვალიუტის კურსი 20—50 ჯერ დაეცა. ომის დაწყების წინა დროსთან შედარებით ფრანგების, ინგლისელებისა და ამერიკელების ხელში გადადის სასახლეები და დიდი ადგილ-მამული, რომელთაც ისინი 5—10 ათას დოლარათ ყიდულობენ და რომელნიც ომის დაწყებამდი 100 და 200 ათას დოლარათ იყო შეფასებული. მყიდველებს იმედი აქვთ რამდენიმე წელში გამდიდრდენ ამ ნაყიდ ადგილებით.

30 იანვარს სორბონში პუანკარეს თავმჯდომარეობით შესდგება საზეიმო სხდომა, რათა ხალხთა ლიგის დაარსებას სახალხო მანიფესტაციით პატივისცენ. მასწავლებლები პროვინციის შკოლებში წავლენ, რათა იქ გაცნონ ის დეკლარაცია, რომელიც სორბონში იქნება წაკითხული.

ამერიკის წითელმა ჯვარმა ვენაში 20 ვაგონი მედიკამენტი გაგზავნა.

† გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილი

ძველათ ტფილისში, ქართული მწიგნობრობის მხრით, ორი გვარი ბრწყინავდა, პირველი იყო სარდლიანთ ოჯახი, ორბელიანების გვარი და მეორე გახლდათ სამეფო მდივნების ოჯახი, ანუ თუმანიშვილების გვარი. XVIII საუკუნეში, ტფილისში ამ ოჯახებში არსებობდა ქართული სამკითხველოები, და თუ ვინმე რამე წიგნის შოვნას ისურვებდა წასაკითხათ, იმას ამ ოჯახებისათვის უნდა მიემართნა.

ასეთი ოჯახის წევრთაგანი იყო გიორგი თუმანიშვილი. იგი სარწმუნოებით სომეხი იყო, ტომით კი ქართველი, მისი წინაპრები ყოველთვის საქართველოს სამეფო მდივნებათ იყვნენ და მასთან ქართული მწიგნობარნიც. თვით განსვენებული გიორგის მამაც მიხელ ბირთველის ძე ქართველი ხწერალი იყო. იგი მწერლობდა ჟურ. „ცისკარში“ 1857 წ.

დიახ, გიორგი მიხეილის ძე იყო ასეთი სამწიგნობრო ოჯახის შვილი. გიორგი დაიბადა თფილისში, აქაურის სწავლის დასრულების შემდეგ რუსეთში გაემგზავრა. სწავლის დამთავრების შემდეგ 1870 წელს ტფილისში ჩამოვიდა და მაშინათვე მან ქართულ სწერლობაში შრომაც დაიწყო. 1875 და 76 წლებში გაზ. „დროებაში“ მან დაბეჭდა თავისი წერილები დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ გარკვევა და ლავრ. არდაზიანის რომანი „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“. ჰქონდა სხვა ნაწერებიც დაბეჭდილები.

1878 წ. ტფილისში გამოსცა თავის ნაწერების „ალმანახის“ პირველი წიგნი. 1879 წ. გამოსცა მეორე წიგნი „ალმანახისა“ სახოგადოთ. იგი იმ დროს, ქართულ მწერლობას ერთგულათ ემსახურებოდა, ამავ დროს, მას პოლემიკა მოუხდა ილია ჭავჭავაძესთან.

1878 წ. ქართული თეატრის ხელმძღვანელობას მიეცა, იგი მიწვეულ იქნა ქართული თეატრის მეთაურათ, ვასო ვაჩნაძის შემდეგ ეს განაგებდა ქართული თეატრის საქმეებს, იგი ბრწყინვალედ უძღვებოდა თეატრის საქმეებს.

გიორგი პიესებსაც სწერდა, სხვათა შორის ქართულათ მან სთარგნა და ცალკე წიგნათ დაბეჭდა „მშვენიერი ელენე“ და „ეკორე დანდენი“. გიორგის დაახლოებული მეგობრობა ჰქონდა ქართულ მწერლებსა და მწერლობასთან.

1881 წ. შემდეგ ქართულ თეატრს თავი დაანება, ამანვე დაბეჭდა მაშინ ისტორია ქართული თეატრის მდგომარეობისა. შემდეგ ამისა მან თანამშრომლობა დაიწყო ტფილისის რუს. ულ გაზეთებშიაც და თანამშრომლობდა „ობზორში“, „ნოვ. ობოზრენიეში“. „ტფილისკი ვესტნიკში“ და სხვა გაზეთებშიაც, თუ რამ გაზეთი გამოსულა ტფილისში,

ილ. ჭავჭავაძესა და გ. თუმანიშვილის შორის ხშირი პოლემიკა იყო, განსაკუთრებით იმის შემდეგ, როცა ილიამ ის დაამარცხა ქალაქის არჩევნებში. გიორგიმ ქართულ პრესაში წერას თავი. გაანება მაგრამ ქართულ მწერლობას იგი ყოველთვის გულმხურვალეთ ადევნებდა თვალ-ყურს და ხანდისხან სწერდა კიდეც წერილებს და ათავსებდა ქართულ გამოცემებში.

მისი სწერლობის დევიზი იყო ქართველთა და სომეხთა შორის ნაციონალური შუღლის არ ჩამოგდება და მტრობის არ განწვავება. ესეთი კიდო ილია ჭავჭავაძეს ყალბათ მიაჩნდა და გიორგი ყოველთვის მწერლობით უსაყვედურებდა, რომ შუღლის ჩამოგდება არ არის კარგიო. მაგრამ ეს ვის უნდა ვურჩოთ, სომხებს თუ ქართველებსაო. შენ შენებს ურჩიე ეგ ქადაგება და არა ქართველებსაო.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გიორგი თუმანიშვილი იყო წყნარი, მშვიდობიანი თვისების კაცი.

ამათი და გახლავთ ჩვენს მწერლობაში კარგათ ცნობილი ანასტასია წერეთელ-თუმანიშვილისა, „ჯეჯილის“ რედაქტორი და გამომცემელი.

არა მგონია, რომ განსვენებულს ვინმე მომდურავი ალმოუჩნდეს.

ზ. ჭ.

პოლიტეხნიკური სასწავლებელი.

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის შესახებ ევროპაც კი ალაპარაკდა. მაგრამ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა დღეს რომ უუგეშოა ესეც ცხადია. დაწვრილებით არ შევეხებით მიზეზთა განხილვას. ვიტყვით, მხოლოდ რომ ჩვენ ეკონომიურად ავღორძინდებით მხოლოდ მაშინ, როდესაც შეგვძლებთ ჩვენი ქვეყნის უხვი ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებას, მის დამუშავებას. ეს კი შეუძლებელია თუ არ განვითარდა ჩვენში ტეხნიკური სპეციალური ძალები; დღეს მათი რიცხვი მხოლოდ ოდნავ თუ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას; არ გვყავს ინჟენერ ტეხნიკოსები, ამისათვის იძულებული ვართ ამა თუ იმ სპეციალურ დარგში უცხო ძალები მოვიშველიოთ.

რუსეთის მთავრობას ერთხელაც არ მოსვლია აზრად ჩვენში უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლის დაარსება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო საჭირო ტეხნიკოსთა კონტიგენტის შექმნა. ძველი გზით სიარული აღარ გვარგებს.

დღეს მთელი ჩვენი ყურადღებით, უნარიანობით ენერგიულად უნდა შეუდგეთ საქმეს, რომ სპეციალური ცოდნა ყველა დარგიდან და განსაკუთრებით კი ტეხნიკური აღორძინდეს, სასურველ სიმაღლემდე განვითარდეს. ამ მიზნით საჭიროა ტეხნიკური სასწავლებლების დაარსება, მაგრამ თუ დღევანდელ პირობებში ახალი სასწავლებლის დაარსება ძნელია, არსებულს მაინც აღმოუჩინოთ ყოველგვარი დახმარება; ასეთი კი არსებობს ტფილისში, რომელსაც საშუალო პოლიტეხნიკური სასწავლებელი ეწოდება. დღეს ამ სასწავლებელს ისეთი შრომის მოყვარე, ენერგიული, საჭირო ცოდნით აღჭურვილი პირი უდგას სათავეში, რომ ჩვენ სრული იმედი გვაქვს ეს სასწავლებელი გამოიღებს ჯეროვან ნაყოფს—მოაკვლევს სპეციალ ტეხნიკოსებს, რომლებსაც ამრიგ საჭიროებს დღევანდელი ჩვენი ეკონომიური ცხოვრება; მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ

როგორც დღევანდელ ჩვენ გაზეთში მოთავსებულ ხსენებული სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს წერილიდან სჩანს, ვერც ამ სასწავლებელში ყოფილა საიმედო საქმე: აუტანელ სიღარიბის გამო მოწაფეები იძულებულნი არიან თურმე თანდათანობით ჩამოშორდენ სასწავლებელს. ეს მოვლენა ფრიად დამაღონებელი და ჩამაფიქრებელია. ვიტყოდით, ამისათვის სასურველია დაარ დეს ხსენებულ სასწავლებელში პანსიონი მოწაფეთათვის; დიახ, ეს კარგი საქმეა, ბევრი რამ არის სასურველი, ამ სურვილებს მთავრობაც კარგად გრძნობს, მაგრამ ვიმეორებთ, ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა არ გვაძლევს გასაჭანს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა საზოგადოების ყურადღება, მისი რეალური და მორალური დახმარება. დღეს, სახელმწიფო თეატრში გაიმართება ხსენებულ პოლიტექნიკურ სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ სპექტაკლ; პედაგოგიურ საბჭოსთან ერთად ჩვენც მოუწოდებთ საზოგადოებას გამოიჩინოს შესაფერისი თანაგრძნობა, ნუ დაზოგავს თავის წვლილს ღარიბ მოწაფეთათვის.

საზოგადოების მიმართ

ქვეყნის დაწინაურების საქმეში ეკონომიური მხარე დიდ როლს თამაშობს და დიდი ყურადღების ღირსიც არის. ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება კი მჭიდროდ არის დაკავშირებული სწავლა-განათლების და კულტურის მდგომარეობასთან: უკანასკნელის განვითარება პირველის აყვავებას იწვევს და ორივე ერთად კი ერის კეთილდღეობის და წარმატების უძლიერეს ფაქტორებად უნდა ჩაითვალონ.

კაცობრიობის კულტურულ ცხოვრების ახალ ახალი მოთხოვნილებანი და საშუალებანი, ტექნიკის ახალ-ახალი „სასწაულები“, ორივე ეს ადამიანის ცოდნით არის შექმნილი, ადამიანის სწავლის სიფართით და სიღრმით. გასაოცარი შედეგები შეერთებულ შტატების, ან თუნდაც გერმანიის ტექნიკისა და მრეწველობის აიხსნება მხოლოდ მათი ფართო ტექნიკური მომზადებით, მათი ღრმა ცოდნით. აქედან აშკარაა, თუ რა დიდის ყურადღებით უნდა ვეპყრობოდეთ სპეციალურ სწავლა-განათლების საქმეს და სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მას ამ ბოლო დროს ჩვენშიაც განსაკუთრებული ყურადღებით დაუწყეს მოპყრობა.

ეს იმედს გვაძლევს, რომ საზოგადოება თავის თანაგრძნობას არ მოგვაკლებს და დღეს 29 იანვარს დაესწრება იმ წარმოდგენა-ოპერას, რომელიც ტფილისის საშუალო პოლიტექნიკურ სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ იმართება სახაზინო თეატრში.

საქართველოში ეს ერთად-ერთი პრაქტიკულ ნიადაგზე დაყენებული სასწავლებელია, რომელიც ინჟენერთა უახლოეს თანაშრომლებს ამზადებს.

მოწაფენი (ძირითად კლასებში — ქართველები, პარალელურში—რუსები, სომხები, ბერძნები, პოლონელნი და სხვა) მშრომელი ხალხის შვილებია, რომლებიც წარმოუდგენელ მატერიალურ სიიწროეს განიცდიან, ზოგმა უკიდურეს გაჭირვების გამო სასწავლებელს თავი დაანება, ზოგი გამუდმებული შიმშილ წყურვილის გამო იძულებულია დღეს თუ არა ხვალ სასწავლებელს გამოემშვიდობოს.

ამ დღეს თეატრში წასვლით თვითეულ თქვენგანს შეუძლია შეიტანოს თავისი წვლილი ქვეყნის ტექნიკურად დაწინაურების საქმეში. ტექნიკური ცოდნის გავრცელებისადმი ხელის შეწყობა ერის და მაშასადამე, საკუთარი კეთილდღეობისადმი ხელის შეწყობას უდრის და ყოველი მოქალაქე ვალდებულია დეხმაროს ტექნიკურ სწავლა-განათლების განვითარებას.

ტფილისის საშუალო პოლიტექნიკური სასწავლებლის პედაგოგიური **საბჭო.**

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების საკრებულოს სხდომაში 1920 წლის 4 თებერვალს დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

1. სჩიავარი ეკატერინე ოდიშარიას ასულის ჩაჩავასი ქუთაისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დადასტურებულია ქუთაისის სამმართველოს 1915 წლის 3—4 აგვისტოს დადგენილება—შესახებ ჩ. ჩავას ასულის მამულისა.

2. სჩიავარი გიგო, ივანე, მიხეილ და პარმენ აფხაიძეებისა ქუთაისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლის 17—18 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დადასტურებულია ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს 1918 წლის 13 ივლისის დადგენილება—შესახებ აფხაიძეების მამულისა „პატარა ანანოს ადგილში“.

3. სჩიავარი მიწათ-მოქმედების სამინისტროს ქუთაისის განყოფილების იურისკონსულტის ნაფიცი ვექილის გიორგი კაპანაძისა ქუთაისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1919 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც შეჩერებულია შორაპნის სამაზრო ერობის მიწის მიმღებ კომისიის განკარგულება აბდუშელიშვილების მამულის შესახებ სოფელ ბეინევში.

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულოს სხდომაში 1920 წელს იანვრის 30 ს დანიშნულია განსახილველად საკასაციო წესით შემდეგი საქმეები:

1. საქმე სარდიონ ალექსის ძე და ეფრემ ილარიონის ძე ჩაჩანიძეების ელიზბარ, იაგორ და იასონ შიოს ძე მაჭარაშვილებთან დარღვეულ მიწის მფლობელობის აღდგენის თაობაზე.

2. საქმე ლუარსაბ, ილიკო და სამუილ არაბიძეების სამსონ და გრიგოლ არაბიძეებთან გზის დახსნის თაობაზე.

3. საქმე ივანე მანველოვის გეორქ ამირხანოვთან მამულიდან გაძევების თაობაზე.

4. საქმე ნიკოლოზ თონდოლევისა ვარვარა როტინიანცთან ბინის დაცლის თაობაზე.

5. საქმე ელისაბედ სამურკაშიანცისა კავკასიის სამხედრო ოლქთან მამულის თაობაზე.

სხვა და სხვა

დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსმა აბხანაგმა შემდეგი დეპეშა მიიღო ადერბეიჯანის პრემიერ მინისტრისაგან:

„დიდ მადლობას ვწირავ ქართველ საზოგადოებას ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის ცნობის გამო მოლოცვებისთვის. თქვენი სახით მოულოცავ ქართველ საზოგადოებას საქართველოს რესპუბლიკის ცნობას და ღრმათა მწამს, რომ ქართველი და ადერბეიჯანის ხალხი ხელი-ხელ ჩაკიდებული ერთათ წავლენ თავისი ეროვნულ მისწრაფებათა მიღწევის გზით. უსუპბეკოვი“.

✦ გზათა დეპარტამენტის დირექტორს შემდეგი დეპეშა მოუვიდა ფოთიდან: „დღეს, საღამოს 6 საათზე, ფოთის ნავთსადგურში ჩამოვიდა გემი „ჰორიხი“ ბარჟით. გემის და ბარჟის მდგომარეობის შესახებ ცალკე მოგახსენებთ“.

✦ 27 იანვარს დიდი თოვლის გამო ბათუმიდან მორიგი საღამოს საფოსტო მატარებელი არ მოსულა.

✦ 29 იანვარს, საშუალო პოლიტექნიკურ სასწავლებლის სასარგებლოდ სახაზინო თეატრში დიდგმება „ბესალომ და ეთერი“.

✦ დავით კლდიაშვილის საიუბილეო კომისიას დღეს, საღამოს 6 ს. მწერალთა კლუბ. „ქიმერიონში“ დანიშნული აქვს სხდომა მრავალ საყურადღებო საკითხთა გასარჩევად. ვსახოვთ რაიონის თეატრებისა და კლუბების წარმომადგენელთ სხდომას უსათუოდ დაეწრონ. საიუბილეო კომისიის სარედაქციო შინა კომისიას აუცილებელი მასალა მოსდის მწერლის საპატივცემლოდ გამოსაცემ წიგნისათვის.

✦ ქართულ სამუსიკო საზოგადოებამ დაადგინა თებერვლის პირველ რიცხვებში სახელმწიფო თეატრში გაიმართოს დიდი საღამო განსვენებულ კომპოზ. ნ. სულხანიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად.

✦ ბორჯომის რაიონის მუშათა საბჭოს კრებამ 22 იანვარს შემდეგარმა მოისმინა რა მოხსენება ვ. ბაქრაძისა მოკავშირეთა კონფერენციის უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისა, აღფრთოვანებით ეგებება ამ დიად მოვლენას. მხურვალეთ მიესალმება მთავრობას და დამფუძნებელ კრებას და უსურვებს მათ შემდეგშიაც ასეთ ნაყოფიერ მუშაობას დემოკრატიის საკეთილდღეოთ.

ბანცხადებანი

გუსეინ ალი ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი სოფელ ტაკიეს საზოგადოებიდან (ტფილ. მაზრა) აღებული პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 76 3—3

არუთინ მოსეს ძე შახნაზაროვი აცხადებს რომ მან დაჰკარგა ტფილისიის ტექნიკურ სასწავლებლის კურსის დამთავრების მოწმობა № 832.

ეს წმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.

128 3—3

წყალობა გიორგის ძე მირზოევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახლის თავთარი მე 8 უბ. ჟანდარის ტუპიკი. № 3.

დავთარი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

129 3—3

ზმაგონ ბაგდასარის ძე ამიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 23977, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 107 3—3

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1 ნოემბერს 1919 წ. დამტკიცდა 1 ენკენისთვეს 1919 წ. შესრულებული ნაყიდობა მიცემული სარდიონ გოგიას ძე თაბაგარის მიერ—პეტრე მოსეს ძე პეტრიაშვილზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ჭიათურის ფარგლებში შენობით ზომით 200 ოთხკ. ს. 5000 მანეთად.

სიმტკიცის ბეჭდ გადახდილია 200 მ.

მთავარი ამონაწერი 50 მ. ღერბის ქაღალდზე მიცემულია. 0183 1—1

ლეონტი ალექსის ძე ბურგმანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახაზინო რკინის გზის ტექნიკურ სასწავლ. დასრულების მოწმობა 13/III 1917 წ. № 802. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს 133 3—2

პოლინა ვოლფოვის ასული კაპლანოვი აცხადებს, რომ მან დაკარგა ტფილისის პოლიტექნიკუმის კანცელარიიდან აღებული კვიტანცია 489 № იმაში რომ გადახდილია მეორე სემესტრის ფული. კვიტანცია გაუქმებულათ ჩაითვალოს. 122 3—9

ვლადიმერ სიმონის ძე ხევსურიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან „განთავისუფლების მოწმობა, აღებული სამხედრო აღრიცხვის უფროსის კანცელარიიდან, „მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.

80 3—

ბაბალე ვლადიმერის ასული ჩაჩიბაია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სალექციო წიგნაკი. მპოვნელს სთხოვენ მოიტანოს სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2—3

ბორჯომის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის სოფ. ქვაბიხევში გორის მაზრა, სიმეონ ანდრიას ძე ნოზაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ნოზაძის უძრავ მოძრავ ქონებაზედ მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.

120 1—1

ფოთის მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ შუშანიკა მიხეილის ასული ალხაზოვს დაჰკარგვია მისი ვადიანი პასპორტი გაცემული ფოთის ყოფილ პოლიციის სამმართველოდან 19.3 წ. რომელიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 58 1—1

ამით ვაცხადებ მე სურამ-ხაშურის სასამართლოების ბოქაული, რომ 1920 წელსა თებერვლის 13 დღეს დილით 10 საათზე სურამის სასამართლოს შენობაში დანიშნულია საჯაროდ გაყიდვა უძრავ სახლ-კარის ადგილისა ზომით 1150 საჟ. მდებარე ქ. ხაშურში, გორის მაზრაში კუთვნილი მალაქია და ხეკა თურმანიძეების, ნესტორ და თუთისანის ვალის დასაკმაყოფილებლად, დაფასებულია 100 მან. 55 1—1

სისხლ. სამ. წარმ. წეს. მე—846, 847, 848 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქ. სასამ. დადგენილებთი, ეძებენ ქ. თელავის ყოფილ „გორდოვებს“ დაღეტანის ოლქისა გუნიბის სოფ. ტირის მცხოვრები როზვან მაგომა ოღლი და მურთუზა ალი ხურბარ ოღლის და იმავე ოლქის მურფუზა ალი ხურბარ ოღლი, რომელთაც ბრალდებათ სასჯელი, გათვალისწინებული მე 1642 და 45 1643 მუხ. სასჯ. დებ. დამალულის ნიშნები გამოურკვეეულია. ყველა, ვინც იცის რომვინ მაგომა ოღლის და მორთუზა ალი ხურბარ ოღლის ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს სადარიან, ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა უფლებაში აღმოჩნდება დაკარგულის ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საოპეკუნო გამგეობას.

21 1—1

აბაშის გვარდიის შტაბი ამით აცხადებს, რომ მის მიერ 1 დეკემბრამდას 1919 წლის გაცემული ყველა მოწმობები გარდა ისეთებისა, სადაც აღნიშნულია ერთი ან ორი თვიანი შვებულება, გაუქმებულია. 113 3—1

დაკარგულია: 1. პასპორტი ივანე ადამის ძე რაციბორსკის სახელზე, მიღებული პოლონეთის წარმომადგენლიდან კავკასიაში, № 789/1763 1919 წ, ივნისის 27-ს; 2) პირადობის მოწმობა კავკას. ჯარ. სანხედრ. მიმოსვ. განყოფილების უფროსის ენ. ადამ თეოფილეს ძე რაციბორსკის სახელზე, № 11874, მიღებული კავკასისს ლაშქრის სამხედრო მიმოსვლის უფროსისგან. სამუთები გაუქმებულათ ითვლება. 149 3—1

სისხლ. სამ. წარმ. წეს. მე—846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქ. სასამ. დადგენილებით, ეძებენ სოფელ ნოვო-პავლოვისა, სართიჭალის უბნის ტფილისის გუბერნიის მცხოვრებს მოსეა როდჩენკოს, რომელსაც ბრალდება სასჯელი, გათვალისწინებული მე 2 ნაწ. 1455 მუხ. სასჯ. დებ. დაკარგულის ნიშნები გამოურკვეეულია. ყველა, ვინც კი იცის იოსებ როტჩენკოს ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს სადარის, ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა უფლებაში აღმოჩნდება დაკარგულის ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საოპეკუნო გამგეობას

22 1—1

პეტრე დავითის ძე მაჩაიძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა ტფილისის სახელმწიფო სასწავლებლის კანცელარიიდან მოცემული ატესტატი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.

152 3—1

ალექსანდრე გიორგის ძე დანელია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა 12.000 მანეთის ხელწერილი ჩამორთმეული გიორგი შიოს ძე ალიმბარაშვილისგან. ხელწერილი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 145 3—1

ბარნაბ კიმოთეს ძე ლეონავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული დიდ ჯიხაიშის კომისარიატიდან № 65. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 137 3—1

შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 1 თებერვალს (ახალი სტილით) დღით კვირას, ს. მოლითში ადგილობრივ სათემო სამმართველოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა სოფ. ნებოძირში მდებარე ქვის სატეხ ადგილების გასაცემათ მიმდინარე 1920 წლისათვის. საჯარო ვაჭრობა დაიწყება ოცდათუთხმეტი ათასი (350000) მანეთიდან. 123 1—1

გზათა დეპარტამენტი

ამით აცხადებს, რომ თანახმად მთავრობის წწ. 18 დეკემბრის დადგენილებისა განზრახულია ტყიბულის ქვა ნახშირის გასაღება გადაეცეს საგენტოს, რომელსაც ქვა-ნახშირი დეეთმობა კერძო პირებზე გასაყიდათ დაწესებულ ფასებზე განსაზღვრული %% ის დაკლებით. საგენტო ვალდებული იქნება წელიწადში განსაზღვრული minimum ი ქვა ნახშირისა გაიტანოს მაღაროებიდან გასაყიდათ და გაჰყიდოს ეხოლოდ გზათა დეპარტამენტის მიერ ნებადართულ ფასებში, ხელშეკრულების უზრუნველსაყოფათ საგენტო ვალდებული იქნება წარადგინოს ხაზინაში განსაკუთრებული თანხა, რომელიც ხელშეკრულების ვადის გასვლამდე რჩება ხაზინაში. დაწვრილებითი ცნობები და ხელშეკრულების პროექტის გაცნობა შეიძლება გზათა დეპარტამენტის კანცელარიაში ყვირა-უქმე დღეებში 11—12 ს, საქმის დღეებში კი ნაშუადღევის 2—3 საათამდე.

იმ პირთ, რომელთაც სურთ საჯარო შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება უნდა შეიტანონ სახაზინო რკინის გზების მთავარ კასაში 50000 მანეთი და ამის შესახებ კვიტანციასთან ერთად დახურულ კონვერტში ჩადებულ ბარათით წარმოადგინოს თავისი პირობანი გზათა დეპარტამენტის კანცელარიაში ამა წლის 15 თებერვლამდე, რომელ დღესაც მოხდება შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად შეტანილი 50000 მანეთი უკანვე დაუბრუნდება შეჯიბრებაში დამარცხებულთ, ხოლო გამარჯვებულს ჩაეთვლება ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად ხაზინაში წარსადგენ ბეში.

5—1 **გზათა დეპარტამენტი.**

სტამბა საქართველოს სასულიერო.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი